წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა N21

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. სტუ-ში ვადიანი (2 წლიანი) ხელშეკრულებით დასაქმებული პედაგოგების სახელფასო განაკვეთების ზრდის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
2. სტუ-ს ინფორმატიკის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. რაფიელ ჩიქოვანი);
3. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 30 აპრილის სხდომის
ოქმი №21

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა დაგვიანებით დაიწყო, ქვორუმის უქონლობის გამო.

სპიკერი – იმის გამო, რომ ქვორუმი არ არის და წევრები ნელ-ნელა გვიერთდებიან, და მანამ დღის წესრიგს ვუყრიდეთ კენჭს, გთავაზობთ, მოვუსმინოთ სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს პროფესორ სერგო ესაძეს, რომელიც საბჭოს წევრთა თხოვნით, დღეს მოვიწვიეთ მიმდინარე საკითხებში, კითხვებზე საპასუხოდ, რომელიც საბჭოს წევრებს გააჩნიათ სასწავლო პროცესთან მიმართებაში. ამასთან, ეს დისკუსიის ფორმატში წარიმართება და არ მოითხოვს კენჭისყრას.

საბჭოს წევრების თანხმობის შემდეგ ტრიბუნასთან მიბრძანდა პროფ. სერგო ესაძე

პროფ. ივანე შავთვალიშვილი – თქვენ გაქვთ თუ არა ინფორმაცია მეორე კურსის სტუდენტებს რამდენს აქვს ჩაბარებული საგნები? რა არის ახალი, ახალ სასწავლო გეგმაში? ის სტუდენტი ვინც გრანტითაა შემოსული და არ სწავლობს და მეორე, ვინც გრანტის გარეშეა, მაგრამ სწავლობს, არის თუ არა შესაძლებელი, რომ მოვუხსნათ გრანტი იმ სტუდენტს, რომელიც არ სწავლობს და დავუნიშნოთ იმას რომელიც სწავლობს? პორტფოლიო არის სტუდნტის პასპორტი. ვთქვათ ვერ ჩააბარა,

ეს როგორ აისახება?

პროფ. ნოდარ ქაჯაია – განსაკუთრებით მაღელვებს პორტფოლიოების საკითხი. პორტფოლიო ჩემთან რჩება. გაგაცნობთ მის პრობლემას. ვინ გადასცემს ინფორმაციას დეკანებს? არ იყო სწორი საგამოცდოს გაუქმება.
წელიწადში 120 000 პორტფოლიო დაგროვდება უნივერსიტეტში. უნდა იწერებოდეს მოსწრების პროცენტი. უნდა გაკეთდეს საერთო საგამოცდო. მოსწრებას + საბოლოო საგამოცდო, დასწრების პროცენტით, ბონუსით და საგამოცდო ნიშნით. პორტფოლიო ზედმეტია და უნდა შეიცვალოს საგამოცდოთი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – რომელ ქვეყანაშია დანერგილი პორტფოლიო? რომელ მოწინავე ქვეყანაშია?

პროფ. მზია მილაშვილი – შუალედური შეფასების შედეგები უნდა გადიოდეს დეკანატში? შუალედური ნიშანი შედის პორტფოლიოში და არ შედის დეკანატში?

პროფ. სეგრო ესაძე – სტუდენტმა გრანტი თუ მიიღო, მისი მოხსნა ან დანიშვნა ჩვენს კომპეტენციას სცილდება. პორტფოლიოს აზრი ის კი არ არის გააცდინა თუ არა სტუდენტმა. ლექციაზე დასწრება არის თავისუფალი. თუ დანიშნული გაქვთ ტესტი, პორტფოლიოში დაფიქსირებულ შედეგებს მიიტანთ დეკანატში და დატოვებთ. იქ დააფიქსირებენ კომპიუტერში და 2-3 დღეში წამოიღებთ. რაც შეეხება პორტფოლიოს ხარჯებს, ამას ეკონომიური შედარება უნდა. შეფასების ფორმას გვთავაზობენ სხვანაირს. ეისიტიესი როგორ იქნება თუ ჩაბარებული არ აქვს მათემატიკა, შეიძლება თუ არა სამშენებლო მექანიკის ჩაბარება. სტუდენტს უფლება აქვს თქვას, რომ მათემატიკა მინდა მოვისმინო უნივერსიტეტში ან მათემატიკა მოვისმინე, მაგრამ ჩავაბარებ სამშენებლო მექანიკას. თქვენ წაიკითხეთ თქვენი საგანი. სხვაგან რა ჩააბარა ეს არ არის ჩვენი საქმე.

პროფ. დავით ჯაფარიძე – მე გავიგე, რომ ეს საკითხი არსად არ არის დანერგილი. ასეთი სისტემით სხვა ინსტიტუტებში არ მუშაობენ. მთავარი დოკუმენტაცია კი არაა, არამედ ორგანიზაციული საკითხებია.

პროფ. აგული სოხაძე – რა შუაშია სად რა არის და სად რა არ არის, ჩვენით გადავწყვიტოთ როგორ იქნება ჩვენთვის უკეთესი.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – თქვენ გაქვთ რჩევის ან წინადადების მიცემის უფლება. ჩვენ გვაქვს უფლება მართვის სამსახურის მუშაობის შეფასების. თქვენ არ დაინტერესებულხართ თითოეულ ფაკულტეტზე რა ხდება. ძალიან გაგიჭირდებათ ამის გაგება. ორი წლის მერე ნახავთ საძებარი გექნებათ, სად წაიღოთ ეს ფურცლები – პორტფოლიოები.

პროფ. სეგრო ესაძე – დეკანატში გვაქვს მონაცემები, ვის რა უწერია

პორტფოლიოში, ამიტომ ამის პრობლემა არ დადგება.

სპიკერმა მადლობა გადაუხადა პროფ. სერგო ესაძეს საბჭოს წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და მუშაობაში მონაწილეობის გამო.

მოგვიანებით საბჭოს წევრების რაოდენობა გაიზარდა და სხდომა დაიწყო. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 49. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მეორე საკითხი მოხსნილია და არ განიხილება, რადგან იგი ჯერ არ განხილულა აკადემიურ საბჭოზე.

დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი – დღის წესრიგის პირველი საკითხის წარმოსადგენად მოვუსმინოთ სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს პროფ. ქეთევან ქოქრაშვილს.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სანამ განვიხილავდეთ დღის წესრიგს გაგაცნობთ ინფორმაციას: ახლახან ჩატარდა ტენდერი საოფისე ავეჯზე: სკამებზე და მაგიდებზე. ორმა ფირმამ გაიმარჯვა. ტექნიკურ უნივერსიტეტს ეკონომიის სახით დარჩა 22 900 ლარი. "თიბისი" ბანკთან გაფორმდა ხელშეკრულება ოვერდრაფტზე. ვისაც სურვილი ექნება, უნდა მოგვაწოდონ განცხადება 2 დღის ვადაში. ახლა გადავიდეთ დღის წესრიგის პირველ საკითხზე. 2 წლიან პროფესურას ხელფასი მოვუმატეთ 20%-ით 2008 წლის
1 მაისიდან. სექტემბრიდან ანაზღაურება გაეზრდება კიდევ სხვა პერსონალს. ასეთი გახლავთ 51 ადამიანი. მათთან ხელშეკრულება დადებულია 2008 წლის სექტემბრამდე. თუ თქვენ სურვილი გექნებათ, ამ ადამიანებს კიდევ 1 წლით გავუგრძელოთ ხელშეკრულება და ისინი ისევ დასაქმდებიან თქვენთან. მათ შეიძლება საათები მოაკლდეთ კიდეც.

პროფ. ჯემალ ბერიძე – ჩემს ფაკულტეტზე არის 2 ადამიანი, რომლებიც რექტორატის დაჟენებული თხოვნით ჩაგვისვეს, მაგრამ მათ არც ერთი საათი არ წაუკითხავთ. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ კიდევ 1 წლით გავუგრძელოთ ხელშეკრულება.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ჩვენ პირობას გაძლევთ არავის სამსახურში დატოვებას არ დაგაძალებთ. თუ თქვენ გჭირდებათ ეს ადამიანები, უნდა აიყვანოთ, თუ

არ გჭირდებათ არ უნდა აიყვანოთ. თქვენ არ იფიქროთ, რომ ადმინისტრაციიდან წამოვა მითითება ამა თუ იმ ადამიანზე. გუშინ ჩემთან იყო მოსული ჩვენი კოლეგა, რომელიც იყო სმენადაქვეითებული და ის რა თქმა უნდა ვერ წაიკითხავს ლექციას.

პროფ. აგული სოხაძე – პერსპექტივაში არის თუ არა საათობრივი დატვირთვის მქონე პერსონალისათვის ხელფასის მომატება?

სპიკერი – ვუყაროთ კენჭი დღის წესრიგის პირველ საკითხს.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 30 აპრილის №21 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 აპრილის №21 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი – პედაგოგების, რომლებიც დასაქმებულნი არიან 2006 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვადიანი (2 წლიანი) ხელშეკრულებით, მათი, სახელფასო განაკვეთების ზრდის დამტკიცების შესახებ, შემდეგი ნუსხის მიხედვით:

სტატუსი	**არსებული ხელფასი**	**ახალი ხელფასი**	**პირთა რაოდენობა**
სრული პროფესორი	469 ლარი	550 ლარი	8
ასოცირებული პროფესორი	375 ლარი	450 ლარი	43

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით წარმოდგენილ სახელფასო განაკვეთებს, რომელთა გაზრდა დაგეგმილია 2008 წლის 1 მაისიდან, კენჭი ეყარა ერთხმად.

პროფ. დემურ დანელია – მაინტერესებს ტელეფონების გადახდის საქმე როგორ არის? უბრალო პროფესორს და მიმართულების ხელმძღვანელს რატომ აქვთ ერთნაირი ხელფასი?

პროფ. დემურ ტალახაძე – მოგეხსენებათ III, IV, V კორპუსების ეზოში რა სიტუაციაა. ისევ რატომ შემოდიან მანქანები?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ჩვენ მოვახსენეთ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ არჩილ ფრანგიშვილს და რეაგირება ალბათ იქნება.

პროფ. ვლადიმერ ხოჭოლავა – ბოლო პერიოდია სულ გვაკლია საბჭოს წევრები. გვიჭირს ქვორუმის შეკრება. იქნებ ცვლილება შეგვეტანა რეგლამენტში და ქვორუმად ჩაითვალოს 50%-იანი დასწრება?

სპიკერი – მე გთავაზობთ სხდომის დათქმული დროდან 15 წუთის გასვლის შემდეგ, ქვორუმის უქონლობის გამო, სხდომის გადადებას.

პროფ. ჯემალ ბერიძე – ჩვენ ამის თაობაზე რეგლამენტზე მუშაობის დროსაც ბევრს ვფიქრობდით. ვერ გადავწყვიტეთ, რადგან ასეთი ცვლილება, შემდეგ ალბათ გაართულებს გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას.

სპიკერი – ე.ი. როგორ გადავწყვიტოთ ქვორუმის თაობაზე? შემოთავაზებულია ორი ვარიანტი:

1. 15 წუთი დაველოდოთ და შემდეგ სხდომა გადავდოთ;
2. ან სიითი შემადგენლობის 50%-ზე მეტი თუ იქნება სხდომა ჩავატაროთ.

საბჭოს წევრებისგან გამოითქვა სხვადასხვა აზრი.

სპიკერი – რადგან საკითხი დაფიქრებას მოითხოვს იქნებ, გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ მომდევნო სხდომისთვის.

საბჭოს წევრები დათანხმდნენ სპიკერის წინადადებას.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/